

მოქალაქის გზამკვლევი

2017



2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
თბილისი, 2016 წელი

მთქალაქის გზამკვლევი 2017

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი



USAID
ამერიკელი ხალხისგან





შესავალი	4
ოჯახის ბიუჯეტი	5
სახელმწიფო ბიუჯეტი	6
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა	8
საბიუჯეტო პროცესი	8
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები	9
სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა	10
ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)	10
ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა	11
საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა	12
საჯარო ფინანსების რეფორმის აღწერა	13
ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში	16
სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა	18
2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ზოგადი მიმოხილვა	20
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები	20
ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	35
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	36
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა	36
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	36
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა	37
გადასახადები	37
გრანტები	38
სხვა შემოსავლები	38
არაფინანსური აქტივების კლება	39
ფინანსური აქტივების კლება	39
ვალდებულებების ზრდა	39
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	40
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	40
გადასახდელების სტრუქტურა	41
ხარჯების სტრუქტურა	41

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების სტრუქტურა.....	42
2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება	43
2017 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება	44
ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	46
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	45
რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა.....	46
სოფლის მეურნეობა	47
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება.....	48
დაგეგმილი ღონისძიებები	49
მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება 2015-2017 წლებში	53
2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	59
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია	63

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევი წარმოდგენას უქმნის საქართველოს მოქალაქეებს, თუ როგორ განკარგავს სახელმწიფო გადასახადების და სხვა შემოსავლებით მობილიზებულ სახსრებს.

გზამკვლევი ეხმარება მთავრობას მარტივი გზით აუხსნას მოსახლეობას ბიუჯეტის მიერ დასახული მიზნები და მასში სხვადასხვა წყაროს მითითებით დააკმაყოფილოს ბიუჯეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილის მქონე მოქალაქეთა ინტერესი. ის ხელს უწყობს კონკრეტული სფეროს პოლიტიკის გარშემო რეალისტური მოლოდინების ჩამოყალიბებას და მოსახლეობის მხარდაჭერის მობილიზებას. მთლიანობაში, გზამკვლევი ეხმარება მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას და ზრდის მოქალაქეების უნარს – ჩაერთონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში, პრიორიტეტების დადგენის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების სტადიებზე. უფრო ინფორმირებულ და აქტიურ საზოგადოებას კი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მმართველობის განვითარებაში და სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაში.

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე ყველა დაინტერესებულ პირს შეუქმნის ზოგად წარმოდგენას საქართველოს საბიუჯეტო სისტემაზე, 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე, სახელმწიფოს მიერ წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობების მოცულობასა და დასახული მიზნების მისაღწევად გასაწევ ხარჯებზე.

2017 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოკლე სახელმძღვანელო, ბიუჯეტი და ბიუჯეტთან/საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე:

www.mof.ge





რა არის ბიუჯეტი?

ოჯახის ბიუჯეტი

რა არის ბიუჯეტი? ეს არის იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განკარგო შემოსავალი. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანებისა და მთავრობებისათვის.

ოჯახის ყველა წევრი უნდა მონაწილეობდეს ბიუჯეტის შედგენაში, რათა ყველა გრძნობდეს ვალდებულებას, მიჰყვეს შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი დაეხმარება ოჯახის თითოეულ წევრს, უკეთესად განკარგონ ოჯახის შემოსავალი.

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და, როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. რეალურად ერთობლივი ბიუჯეტი გულისხმობს ფინანსების ისეთ მართვას, რომელიც მომავალზე ფიქრის შესაძლებლობას იძლევა.

ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრისას განიხილება მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები – კვება, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირება, დასვენება, ოჯახის აუცილებელი გადასახადები, როგორიცაა, მაგალითად, ბინის, მანქანისა თუ სხვა სამომხმარებლო კრედიტების დაფარვა, ბანკის საპროცენტო შენატანები, აგრეთვე მსჯელობენ გარკვეული თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზეც. მნიშვნელოვანია შეფასდეს წლის განმავლობაში გასანევი ხარჯები ოჯახის შემოსავლებთან მიმართებაში, და თუ ოჯახის შემოსავალი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები ხარჯების შესამცი-რებლად ან განხილულ იქნეს შემოსავლების გაზრდის ალტერნატიული ვარიანტები, მაგალითად: ზედმეტი სამუშაო საათები, ახალ სამსახურში გადასვლა ან დამატებითი სამუშაოს მოძებნა. თუ ოჯახი თვლის, რომ მისი მდგომარეობა დროებითია ან სურვილი აქვთ ახალი ბიზნესის დაწყების და არა აქვთ საკმარისი სახსრები, მაშინ მის წევრებს შეუძლიათ განიხილონ კრედიტის აღების ვარიანტიც, მაგრამ მის პარალელურად საჭიროა განიხილონ და მოიძიონ სესხის დაფარვის წყაროები.

თუ ოჯახის შემოსავალი აჭარბებს ყოველდღიურ ხარჯებს, შესაძლებელია დანაზოგის გაკეთება შორეული გეგმების განსახორციელებლად ან, მეორე მხრივ, შესაძლებელია ასეთი თანხები დაიხარჯოს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად – ვთქვათ, ახალი ავტომობილის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად ან საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

ოჯახი რაღაც ფორმით სახელმწიფოს პატარა მოდელია და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესიც ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად მიმდინარეობს. მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავს მთავრობის მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებსა და მოსალოდნელ ხარჯებს პროგრამების – მაგალითად, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული

ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ა.შ. – მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს საგარეო ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით, თუ იგი ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება და მისი დაფარვაც – შესაძლებელი.

სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსავლების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი ხარჯების ნუსხა.

ბიუჯეტი არის გამჭვირვალე დაგეგმარება, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი ერთეულები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

ბიუჯეტს მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია:

- ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობების მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად; რა სახისა და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორიცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვა სახის გადასახადები.
- ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები; რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე, კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სხვა მიმართულებებზე.
- ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალეები.
- ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი მეტად ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც. ამასთან, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის სახარჯ რესურსს. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახდელები) ისე უნდა დაბალანსდეს, რომ ის ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად იქცეს.

- ეკონომიკური პროცესები თავად ახდენს გავლენას ბიუჯეტზე. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად, იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან, მცირდება ვალის აღების საჭიროება.
- ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს. ამასთან, ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების სამომავლო ხარჯვასთან დაკავშირებით.

ძირითადი ტერმინები

ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

პროგრამული ბიუჯეტი – ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპია სახელმწიფო სახსრების მიმართვა წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რისი გათვალისწინებითაც პროგრამული ბიუჯეტი ხშირად შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის სახელითაა მოხსენიებული; პროგრამული ბიუჯეტის მიზანია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლება, სახელმწიფო სექტორის დაწესებულებების დაფინანსებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ურთიერთკავშირის გაძლიერება. გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.¹

პროგრამა – წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ქვეპროგრამა – წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ ადგენს, რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გადასახდელები, მათ შორის მოიაზრება სარეზერვო ფონდები და დადგენილია ლიმიტი სარეზერვო ფონდებისათვის (არაუმეტეს მთლიანი ბიუჯეტის 2%).



საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას“, რომელსაც არეგულირებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

საბიუჯეტო პროცესი



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

ყოვლისმომცველობა

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში

გამჭვირვალობა

წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე

დამოუკიდებლობა

ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

ერთიანობა

ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის


უნივერსალობა

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად

კონსოლიდირება

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა

სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა



ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტი მოიცავს 4-წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადია.

BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, აგრეთვე ის, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.


საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა



საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

- ▶ სსახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ თავიანთ პრიორიტეტებს;
- ▶ მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;
- ▶ პარლამენტის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;
- ▶ სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭერები;
- ▶ BDD დოკუმენტის გათვალისწინებით სამინისტროები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;
- ▶ საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.



საჯარო ფინანსების რეფორმის აღწერა

საჯარო ფინანსების რეფორმა, რომელიც 2004 წლიდან დაიწყო, გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან – GFSM 2001, ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც მომზადდა და დამტკიცებულ იქნა 2009 წელს და ძალაშია 2010 წლიდან. საბიუჯეტო კოდექსმა თავის თავში გააერთიანა საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტი, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის. საბიუჯეტო კოდექსით ასევე განისაზღვრა ეტაპობრივად პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის – 2012 წლიდან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის – 2013 წლიდან.

ბევრი გაკეთდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) დანერგვის კუთხით. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ფორმატმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ, რაც ის პირველად მომზადდა 2005 წელს. ახალი საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლებისა და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. თანდათანობით დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მხარჯავი დაწესებულების, ასევე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით ყოველწლიურად ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 4-წლიან დოკუმენტს, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. ეს დოკუმენტი ასახავს სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის. შედეგად, BDD დოკუმენტი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტის ერთგვარ ჩარჩოს და იმ პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ხოლო მისი საბოლოო ვარიანტი მიეწოდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დასაგეგმი წლის იანვრის თვეში.

იქიდან გამომდინარე, რომ 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატზე გადავიდა, პირველად 2013-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განსხვავებული ფორმატით, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მანევრებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მანევრებლები, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორული სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტისა და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სრულყოფილად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. კერძოდ, განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულების განახლება და 2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე. რეფორმის შედეგად გაფართოვდა „საბიუჯეტო ორგანიზაციის“ ტერმინით გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო გავრცელდა საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იურიდიული პირზე (გარდა სამენარჩეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა). აღნიშნული საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევას უწყობს ხელს.


საგრძნობლად გაუმჯობესდა ბიუჯეტის ფორმატი და წარდგენის პროცედურები, საჭირო ნაბიჯები გადაიდგა შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, საშუალოვადიანი პერსპექტივისა და სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს შორის არსებული კავშირების განმტკიცების თვალსაზრისით.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით

მე-16 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითიც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიური კვლევის შედეგებთან შედარებით (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა) და „მნიშვნელოვნად გამჭვირვალე“ ქვეყნებს შორის მოექცა.²



საქართველოსთვის ღია ბიუჯეტის ინდექსი (**Open Budget Index**) წლების მიხედვით ასე გამოიყურება:



² <http://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/OBS2015-OBI-Rankings-English.pdf>


საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა საგადასახადო კანონმდებლობაში. აღნიშნული გულისხმობს მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელის“ დანერგვას ქვეყანაში. კერძოდ, მოგების გადასახადი მთლიანად გაუქმდება გაუნაწილებელ მოგებაზე, საშემოსავლო გადასახადით კი დაიბეგრება მხოლოდ ის თანხა, რომელსაც ბიზნესის დამფუძნებელი გაიტანს დივიდენდის სახით კომპანიიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება. რეფორმის შედეგად დაიქარდება ეკონომიკური ზრდა, ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის; შეიქმნება ხელშემწყობი პირობები ბიზნესის განვითარებისთვის, ბიზნესი გახდება უფრო მდგრადი, მოხდება საგადასახადო ადმინისტრირებისა და აღრიცხვის გამარტივება, რაც ნიშნავს ბიზნესის დაზოგილ თანხებს.

2016 წელს მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ცვლილების პროექტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში. ცვლილებების თანახმად, 2017 წლიდან დაწესდა დამატებითი შეზღუდვები სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილთან მიმართებაში, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური თავისუფლების აქტივით განსაზღვრული ფისკალური წესებისა და ლიმიტების დაცვა. ცვლილებების თანახმად, პარლამენტი უფლებამოსილია ხარჯვითი ნაწილის ძირითადი პარამეტრები შეზღუდოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვისაც. ასევე წესდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და ოპტიმიზაციის ვალდებულება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებებისათვის. გამკაცრდა რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტების დაგეგმვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინების აუცილებლობას.

ძირითადი ფისკალური ნუსები საქართველოში

2011 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს ორგანული კანონი **„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“**, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:



თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს, საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.


საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან/და ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს, ისე ქვეყანასა და რეგიონში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ▶ პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის, შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- ▶ მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- ▶ მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დანესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- ▶ მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩამონაშალი;
- ▶ მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.



პარლამენტში წარდგენისას **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს**, მეტი გამჭვირვალობის მიზნით, თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებსა და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები; 2017 წლის ბიუჯეტში ასახულია თითოეული პროგრამისთვის საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის, პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩამონათვალი და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკრო-ეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2012 წლის მდგომარეობით შემოღებულ იქნა პროგრამული კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, შესრულებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშგებისათვის.

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.



ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა.




2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ზოგადი მიმოხილვა

2017 წლის ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია სამთავრობო პროგრამის „**თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა**“ შესასრულებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები



1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება



3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი




4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება



5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება



6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა



7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა



8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი



9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია




10. სოფლის მეურნეობა



11. სასამართლო სისტემა



12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა



1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- პრიორიტეტი მიზნად ისახავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებას, რომლითაც საქართველოს ყველა მოქალაქე კვლავაც იქნება დაცული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯებისაგან. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განიხილება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები და მექანიზმები, რათა დასაქმებულმა ადამიანებმა მეტი წვლილი შეიტანონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.
- დაინერგება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია. დაგროვებითი სისტემა გულისხმობს თანადაფინანსებას დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან.
- ქვეყნის მასშტაბით დაიწყება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.
- გაგრძელდება ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება: C-პეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს; გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას – ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; საფუძველი ჩაეყრება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.
- განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის. სახელმწიფო ინფორმაციულ დახმარებას გაუწევს სამუშაოს მაძიებლებს პროფესიის არჩევის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით. სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროცესში.



2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

- ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას, რომელიც გახდება ქვეყნის თავდაცვის ახლებური ხედვის ცხოვრებაში გატარების სტრატეგიული გეგმა და საფუძვლად დაედება სამხედრო ძალების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაეფუძნება სამხედრო სფეროში დღემდე არსებულ მიღწევებს, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წარმატებულ პროგრამებს, ნატო-საქართველოს ერთობლივ პროექტებს, აგრეთვე სამხედრო ძალების რეფორმირების პრინციპულად ახალ ხედვებს, რომლებიც განვითარდება სტრატეგიისა და მართვის, ძალების ოპტიმიზაციის, ძალების მზადყოფნის, ინსტიტუციური რეფორმებისა და საერთაშორისო ჩართულობის მიმართულებად.
- სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სულ უფრო მეტი მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება; დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის; დაინერგება ახალი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება – წინასასამართლო პრობაცია; გაგრძელდება პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია; შეიქმნება ახალი პენიტენციური დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისათვის მოამზადებს დაბალი და საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულებს; პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის, დანინაურების) სისტემა; შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები; გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა.
- დაგეგმილ ვადებში დასრულდება საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა, რაც უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას.
- გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი – ევროპოლთან.

- პოლიციის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდება ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა, რათა კარიერული წინსვლა დაეფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას.
- უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.



3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

- საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი მოწყობის კომპონენტის ფარგლებში, გაგრძელება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები.
- საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტს – ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას, რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად.
- აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და უახლოეს მომავალში დასრულდება წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები პანკისის ხეობის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვრის-პირა სოფლებში.
- ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები; მოხდება არსებული ნაგავსაყრელების ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ეტაპობრივი დახურვა; ევროსტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა ახალი რეგიონალური სანიტარიული ნაგავსაყრელები; დაინერგება ნარჩენების სეპარირებისა და გადამუშავების სისტემები.
- ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტთან წვდომა.

- ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით იგეგმება: იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით; ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება გაზისა და ელექტროენერგიის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შესაქმნელად.
- საქართველოს მთავრობა ტურიზმის განვითარებისთვის განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: მოწესრიგდება და განვითარდება საგზაო ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყობა კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები; გააქტიურდება მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე; მოხდება დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა; გამთრის კურორტების შემდგომი განვითარება მოხდება გააზრებული განვითარებისა და განაშენიანების გეგმების მიხედვით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები; ხელი შეეწყობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით.
- მთავრობა აგრეთვე გააგრძელებს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობას, მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და იქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე ზრუნვას.



4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

- გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებების დაფუძნება.
- წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.
- ზოგადი განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად დაინერგება ავტორიზაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები.
- განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით შეიქმნება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომელთა დანერგვა I-VI კლასებში უკვე 2017-18 სასწავლო წელს დაიწყება და შემდგომ ეტაპობრივად დაფარავს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს.

- განვითარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი.
- სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობას მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით. გაგრძელდება ანამლაურების სისტემისა და სამოტივაციო პაკეტების განვითარება.
- სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წლიდან გაგრძელდება მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მასშტაბური პროგრამების განხორციელება.
- თავისუფალი გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზე იქნება მორგებული, გახდება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი; სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება თანამედროვე ტექნოლოგიების, აგრეთვე დისტანციური სწავლების როლი.
- მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება უახლესი სტანდარტების შესაბამისად სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მათ შორის, ახალი სკოლების მშენებლობაში. 2017 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პარალელურად, გაგრძელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებით შერჩეული 100-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა; ასევე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში თბილისის ზოგიერთ სკოლაში ჩატარდება სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდაზე მიმართული სამუშაოები. სახელმწიფო უზრუნველყოფს მცირეკონტინგენტიანი, მაღალმთიანი და სოფლის სკოლების გაძლიერების პროგრამების ამოქმედებას.
- პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული, სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით.
- დაინერგება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მასწავლებელთა მომზადების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამოქმედდება მასწავლებელთა მომზადების აკრედიტებული 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება და ხელს შეუწყობს ყოველწლიურად სკოლებში ახალი კადრების დასაქმებას.
- საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - „სწავლე საქართველოში“.
- ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

- ხელი შეუწყო საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას – მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევრებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებას. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით.



5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

- თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისა და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებასა და სამუშაო ადგილების გენერირებას, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ.
- მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით: გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი, ამასთან, შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და მომავალში შეიზღუდება მათი ზრდა; უზრუნველყოფილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის პრინციპების სრულყოფა; გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა; სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგსა და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს; უზრუნველყოფილი იქნება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია; ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი მასშტაბური პროექტების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებისთვის, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიებები; ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა იქნება ხელშეუხებელი; ხელი შეუწოდა ლარით დაკრედიტების ზრდას.
- გაუმჯობესდება საგადასახადო ადმინისტრირება. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვეღარ მოხდება ბიზნესის ანგარიშების დაყადაღება.
- ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების კუთხით, გაგრძელდება მენარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები, მოხდება მათი ოპტიმიზაცია ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით.

- სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ეფექტიანი ურთიერთობების ხელშეწყობისთვის შეიქმნება ერთიანი სივრცე „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. შედეგად, ბიზნესს შეუმცირდება სახელმწიფოსგან შესაბამისი მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო და რესურსები.
- საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, საქართველოს მთავრობა გეგმავს კაპიტალის ბაზრის, საპენსიო და მიწის რეფორმების განხორციელებას.
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კერძოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.
- ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ჰონგ-კონგთან, ხოლო თურქეთთან მოლაპარაკებები წარიმართება არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფართოების მიმართულებით. გაგრძელდება მუშაობა პრიორიტეტულ ქვეყნებთან ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების განვითარებისთვის. შედეგად, გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა.
- მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერებისა და კომერციული ატაშეების სისტემის დანერგვისკენ.



6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალმა კანონმა შექმნა სათანადო სამართლებრივი საფუძვლები საჯარო სამსახურის რეფორმის სისრულეში მოსაყვანად და „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასაწესებლად. ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

- კვლავ გაგრძელდება პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი მონიტორინგის ერთიანი სისტემის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, რაც ეფუძნება გამჭვირვალე, შედეგზე ორიენტირებული, საზოგადოების ჩართულობის პრინციპსა და ანგარიშვალდებულებაზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების იდეას.
- სახელმწიფოს მიერ კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა.
- უზრუნველყოფილი იქნება კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადგმული ნაბიჯების ქმედითი კოორდინაცია, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება. დაინერგება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილ მონიტორინგს, კერძოდ, დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადგენას.
- კიდევ უფრო დაიხვეწება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით.
- დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას, ინფორმაციის თავისუფლებაზე ცალკეულ აქტებში გაბნეული ნორმების ერთ საკანონმდებლო აქტში კონსოლიდირებას და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას. კიდევ უფრო მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა.



7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

- ხელისუფლება გააგრძელებს დევნილთა საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მოხდება ბინების შესყიდვა მენაშენებისგან თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში, ასევე

„სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შექმნა.

- გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი. დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის სახლების შექმნა.
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაძლიერდება სხვადასხვა სოციალური პროგრამა. გაძლიერდება ხანდაზმულთა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულება. პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი.



8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

- ევროპასთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში. საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველია, რომელიც ევროკავშირის პროგრამის – „შემოქმედებითი ევროპის“ – წევრი გახდა.
- დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი.
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისთვის; განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად; მოხდება კულტურის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის; ხელი შეეწყობა მედიისა და მაუწყებლის პოტენციალის გამოყენებას კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის.
- გაგრძელდება სახელოვნებო განათლების განვითარების ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.
- აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და რაგბის კომბინირებული მოედნები. რეგიონულ ცენტრებში აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტის სასახლეები; შეიქმნება სპორტუ-

ლი ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული.

- გაგრძელდება საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე სხვადასხვა დონის საფეხბურთო კლუბებისა და პროგრამების ხელშეწყობა; ხელი შეეწყობა საფეხბურთო გუნდების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ბავშვთა და ქალთა ფეხბურთის, ასევე ასაკობრივი გუნდების (მათ შორის, ნაკრების) განვითარებას.
- ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან კოორდინაციით, შემუშავდება სპორტული ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასთან ერთად, განაპირობებს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტიან გამოყენებას.



9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

- საქართველოს მთავრობის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.
- გაგრძელდება მუშაობა საქართველოში დღეს არსებული ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის – ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების ხელშესაწყობად.
- მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის პოზიტიური იმიჯის ფორმირებისათვის იგეგმება საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური პოპულარიზაცია და ამ მხრივ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი გამოცდილების გაზიარება.
- მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობისაკენ. განხორციელდება ძალისხმევა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში, საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით.
- გაგრძელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა.

- მთავრობა აქტიურად იქნება ჩართული იმ ცალკეული სოციალური საკითხების გადაჭრის პროცესში, რომლებიც აწუხებს ქართულ დიასპორას. მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი დიასპორის წარმომადგენლებისთვის ეფექტიანი იურიდიული და საკონსულტაციო მექანიზმის შეთავაზება და ადგილზე დახმარება.
- საქართველოს მთავრობა კვლავ გააგრძელებს სტრატეგიულ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან; საქართველოს მთავარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ორიენტაცია. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს მუშაობას საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების ევროპის ქვეყნებში სრულფასოვნად წარმოჩენისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის გაზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით.
- ციფრული დიპლომატიის მეშვეობით გაგრძელდება მოქალაქეებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის დამყარება და მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ქვეყნის შიდა და გარე აუდიტორიის პროაქტიული ინფორმირება.
- გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.



10. სოფლის მეურნეობა

- მთავრობა გააგრძელებს აქტიურ აგროპოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.
- სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა იქნება საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება.

- მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს.
- შემუშავდება სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე.
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას – შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას.
- დაიხვეწება აგროდაზღვევის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ინტერესების დაცვას.
- გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები. დამტკიცდება სატარიფო მეთოდოლოგია.
- გაგრძელდება მუშაობა ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით.
- მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.
- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორები და შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია.
- გაგრძელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფა.
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, რაც განხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში.
- ქვეყანაში ბიოაგრომეურნეობების განვითარებისა და ასევე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრების მიმართულებით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.
- დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო სისტემა.
- მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.



11. სასამართლო სისტემა

- მთავრობის მოქმედებები მიმართული იქნება სასამართლო სისტემის ნდობის ამაღლებისკენ. მთავრობის პრიორიტეტია თითოეული მოქალაქისა და კერძო სექტორის რწმენის ამაღლება ქართული მართლმსაჯულებისადმი.
- გაგრძელდება და დასრულდება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღა, რაც ბოლომდე მიიყვანს სასამართლო სისტემის რეფორმას, როგორც ინსტიტუციურ დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ისე ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
- მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.
- 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ერთ-ერთ დიდ სასამართლოში საპილოტე წესით დაინერგება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა. მიმდინარე წლის ზაფხულში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უკვე შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება.
- საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე.



12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, გაგრძელდება თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა.
- თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი მმართველობა.

- ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა. დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი.
- გარემოს დამიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა.
- მონესრიგდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების საკითხები, რათა სტიმულირებულ იქნეს ამ სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესება; ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები; სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიანად გამოყენება-ათვისებას.
- დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით, მათ შორის, ნადირობისა და თევზჭერის სფეროებში.
- სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას.
- ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები.
- გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა.
- კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევების შესამცირებლად.
- გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დადგინდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები და გაუმჯობესდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის აღრიცხვის სისტემა.
- გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და გარემოს დაცვას რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისაგან; გაუმჯობესდება ქიმიური ნივთიერებების მართვისა და კონტროლის მექანიზმები.
- გაგრძელდება და გაფართოვდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები.


ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

საბიუჯეტო დეფიციტი და პროფიციტი – როდესაც მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან იღებს, მცირდება ეროვნული დანაზოგი, იქმნება ბიუჯეტის დეფიციტი; ხოლო თუ ნაკლებს ხარჯავს, მაშინ იქმნება ბიუჯეტის პროფიციტი. წინა პერიოდში დაგროვილი ბიუჯეტის დეფიციტების ჯამი წარმოადგენს სახელმწიფო ვალს.

2017 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის (წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქციის საბაზრო ღირებულება) რეალური ზრდის პროგნოზი და მშპ-ს დეფლატორი (ყველა საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების საშუალო ფასები) 4.0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 6.0%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი – 3.0%-ის ფარგლებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2017 წელს ნომინალური მშპ-ს მოცულობა 35.9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2020 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 46.6 მლრდ ლარამდე.

დასახელება	2015 ფაქტი	2016 გეგმა	2017 გეგმა
მშპ-ს რეალური ზრდა	2.9%	2.7%	4.0%
ნომინალური მშპ	31,755.6	33,265.2	35,979.7
საშუალო წლიური ინფლაცია	4.0%	2.0%	4.0%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	4.9%	2.0%	4.0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	41.4%	43.9%	44.2%




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11,457.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს 1,139.3 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 31.8%-ს შეადგენს. 2016 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსულობების ზრდას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი

- შემოსავლები
- არაფინანსური აქტივების კლება
- ფინანსური აქტივების კლება
- ვალდებულებების ზრდა




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 82.8%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 9,489.5 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 26.4%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	გადახრა (2017-2016)
შემოსავლები	8,170.5	8,546.8	9,489.5	942.7
გადასახადები	7,549.6	7,980.0	8,820.0	840.0
გრანტები	315.6	246.8	284.5	37.7
სხვა შემოსავლები	305.3	320.0	385.0	65.0



გადასახადები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 8,820.0 მლნ ლარს, რაც 2016 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 840.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 76.9%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 24.6%-ს შეადგენს.


გრანტები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლის გეგმასთან შედარებით 37.7 მლნ ლარით მეტია და 284.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.5%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.8%-ია.

სხვა შემოსავლები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 65.0 მლნ ლარით მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგენს 385.0 მლნ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3.4%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 1.1%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლებს საკუთრებიდან (სახელმწიფოს საკუთრებაში ან წილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები) და ჯარიმებს.

მლნ ლარი



არაფინანსური აქტივების კლება

2017 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 90.0 მლნ ლარს, რაც 135.0 მლნ ლარით ნაკლებია 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 85.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 5.0 მლნ ლარით ნაკლებია 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე და წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

ვალდებულებების ზრდა

სახელმწიფოს მიერ სესხების აღებით 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1,792.7 მლნ ლარი, მათ შორის:

- საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები – 922.7 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირისგან მისაღები საბიუჯეტო კრედიტები – 470.0 მლნ ლარი;
- სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა – 400.0 მლნ ლარი.

ვალდებულებების ზრდა მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 15.6%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 4.98%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 11,415.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც 1,117.6 მლნ ლარით მეტია 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 31.7%-ს შეადგენს. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10,338.3 მლნ ლარს, გრანტები – 154.5 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები – 922.7 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. არ არის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

მლნ ლარი


დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გადასახდელები	9,703.1	10,297.9	11,415.5
ხარჯები	8,158.0	8,671.3	9,121.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	680.2	713.7	999.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	444.8	468.6	769.0
ვალდებულებების კლება	420.1	444.3	526.3

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


მლნ ლარი



გადასახდელების სტრუქტურა




ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების სტრუქტურა

მლნ ლარი




-  საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
-  საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
-  ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები
-  საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი
-  საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი
-  წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადანაცვტილებების აღსრულების ფონდი
-  საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
-  მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	გადახრა
შემოსულობები	9,891,079.9	10,317,950.0	11,457,175.0	1,139,225.0
შემოსავლები	8,170,499.3	8,546,800.0	9,489,460.0	942,660.0
გადასახადები	7,549,608.9	7,980,000.0	8,820,000.0	840,000.0
საშემოსავლო გადასახადი	2,052,388.5	2,086,000.0	2,570,000.0	484,000.0
მოგების გადასახადი	1,025,228.4	980,000.0	681,000.0	-299,000.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,505,454.6	3,802,000.0	3,779,000.0	-23,000.0
აქციზი	870,731.8	1,012,000.0	1,627,000.0	615,000.0
იმპორტის გადასახადი	69,294.0	75,000.0	76,000.0	1,000.0
სხვა გადასახადები	26,511.6	25,000.0	87,000.0	62,000.0
გრანტები	315,593.2	246,800.0	284,460.0	37,660.0
სხვა შემოსავლები	305,297.2	320,000.0	385,000.0	65,000.0
არაფინანსური აქტივების კლება	287,319.1	225,000.0	90,000.0	-135,000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	71,873.6	90,000.0	85,000.0	-5,000.0
სესხები	71,867.8	90,000.0	85,000.0	-5,000.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	5.8	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	1,361,387.9	1,456,150.0	1,792,715.0	336,565.0
საშინაო	314,680.1	380,000.0	400,000.0	20,000.0
საგარეო	1,046,707.8	1,076,150.0	1,392,715.0	316,565.0
გადასახდელები	9,703,127.1	10,297,950.0	11,415,475.0	1,117,525.0
ხარჯები	8,157,998.4	8,671,300.5	9,121,225.2	449,924.7
შრომის ანაზღაურება	1,376,776.9	1,442,604.3	1,393,505.1	-49,099.2
საქონელი და მომსახურება	946,218.8	1,107,393.8	1,144,275.3	36,881.5
პროცენტი	326,591.3	473,757.0	503,040.0	29,283.0
სუბსიდიები	245,745.2	262,976.0	419,969.0	156,993.0
გრანტები	1,271,342.9	960,931.6	1,020,282.0	59,350.4
სოციალური უზრუნველყოფა	2,802,402.0	3,096,999.0	3,313,177.0	216,178.0
სხვა ხარჯები	1,188,921.3	1,326,638.8	1,326,976.8	338.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	680,173.3	713,700.9	999,041.3	285,340.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	444,804.8	468,591.6	769,021.5	300,429.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	181,174.2	299,341.6	352,762.5	53,420.9
აქციები და სხვა კაპიტალი	263,630.6	169,250.0	416,259.0	247,009.0
ვალდებულებების კლება	420,150.6	444,357.0	526,187.0	81,830.0
საშინაო	49,745.0	84,357.0	95,187.0	10,830.0
საგარეო	370,405.6	360,000.0	431,000.0	71,000.0
ნაშთის ცვლილება	187,952.8	20,000.0	41,700.0	21,700.0




2017 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მლნ ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,642.8	2,906.2	3,202.0	3,415.8
მ.შ. სოციალური პროგრამები	1,971.5	2,034.0	2,273.0	2,438.0
მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები	588.3	790.6	841.5	894.5
მ.შ. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	338.5	573.6	610.0	660.0




■ ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება

— % ბიუჯეტის მთლიან გადასახდელებთან

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

მლნ ლარი


დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	741.1	825.9	954.7	1,116.2
მ.შ. სკოლების ვაუჩერული დაფინანსება	374,6	429.7	507.0	575.5
მ.შ. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	89.7	76.1	43.8	88.8
მ.შ. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	14,2	5.6	11.9	16.9
მ.შ. მეცნიერების ხელშეწყობა	28.7	56.0	66.5	61.4



რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა

მლნ ლარი


დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	905.0	898.4	950.0	1,258.0
მ.შ. საგზაო ინფრასტრუქტურა	526,4	488.4	526.6	849.2
მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	168,3	192.3	231.0	176.2
მ.შ. წყლის ინფრასტრუქტურა	106,9	137.5	163.7	183.9




სოფლის მეურნეობა

მლნ ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	265,8	314,3	311,1	257,9
მ.შ. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	50,1	63,5	63,0	48,0
მ.შ. შეღავათიანი აგროკრედიტები	42,8	34,5	41,0	47,0



სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება



დაგეგმილი ღონისძიებები

2014 წლის მეორე ნახევრიდან ჩვენს რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და რიგ შემთხვევებში ეკონომიკური ვარდნაც დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდით საქართველო ლიდერია რეგიონში, მაინც აღნიშნული ზრდის ტემპები არ არის დამაკმაყოფილებელი. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით, მომდევნო წლებში სიტუაციის მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, რადიკალური ცვლილებების გარეშე შეუძლებელი იქნება, ჩვენს ქვეყანაშიც იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები, რაც აუცილებელია ჩვენი მოსახლეობის დასაქმებისა და მათი შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდისათვის. ეკონომიკური ზრდისათვის კი მნიშვნელოვანია უფრო მეტი ინვესტიცია.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და კერძო ინვესტიციების წახალისებისათვის საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა მოგების გადასახადის რეფორმის სახით, რაც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მიღებული მოგება, გადასახადების ნაცვლად, მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. USAID-ის მიერ განხორციელებული კვლევების შესაბამისად, აღნიშნული რეფორმა ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებს დაახლოებით 1,5%-ით.

პარალელურად, იგეგმება სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. ეს ინვესტიციები ორიენტირებულია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, რომლებმაც უნდა წახალისოს ინვესტიციები და ეკონომიკური აქტივობა კერძო სექტორში. მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (800 კმ გზები, ხიდები, გვირაბები, აეროპორტები, საკურორტო ზონები და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით.

ამასთან, აღნიშნული რეფორმების განსახორციელებლად, ქვეყნის ფისკალური სტაბილურობისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ბიუჯეტში დამატებითი რესურსების მოძიება. რეფორმების დასაფინანსებლად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- **თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში 10-10 პროცენტით იკვეცება შრომის ანაზღაურების ფონდი** და ადმინისტრაციული ხარჯები, აღნიშნული შემცირება 2016 წელთან შედარებით ინვეს 100,0 მლნ ლარზე მეტი ეკონომიის წარმოქმნას;
- სოციალური და ეკონომიკის ხელშეწყობის კუთხით ჩატარებული ანალიზის გათვალისწინებით, მცირდება ან უქმდება საბიუჯეტო პროგრამების ნაწილი;
- შეიზღუდება სახელმწიფო ავტოპარკი და შემცირდება სანავაგის ხარჯები;
- იგეგმება ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის გაუქმება ან ბიუჯეტიდან დაფინანსების შეწყვეტა. მათ შორის,

- ✓ გაუქმდება საინვესტიციო სააგენტო და მისი ფუნქციები დაემატება ეკონომიკის სამინისტროს მენარმოების განვითარების სააგენტოს;
- ✓ დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტო აღარ დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- ✓ მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დაფინანსება;
- ✓ გაუქმდება ეკონომიკური საბჭოს აპარატი.

■ **თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ზრდა.** კერძოდ, ფილტრირან სიგარეტზე აქციზი იზრდება 0,60 ლარით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე – 0,30 ლარით, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირების გათვალისწინებით დამატებით იძლევა 200,0 მლნ ლარამდე დამატებით შემოსავალს; თამბაქოს ნაწარმი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საიმპორტო ჯგუფია. მისი იმპორტი ყოველწლიურად 100 მლნ დოლარზე მეტი ვალუტის გადინებას იწვევს. აღსანიშნავია, რომ თამბაქოს დაბეგვრის მიმართულებით საქართველოს აქვს საერთაშორისო ვალდებულებებიც. კერძოდ, თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად, რომელზეც საქართველო მიერთებულია 2006 წლიდან, ქვეყნებმა უნდა განახორციელონ საგადასახადო პოლიტიკა თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად (გაერო, 2003 წლის 21 მაისი). მეორე მხრივ, ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება დანერგოს ევროკავშირის 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივა (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ). დირექტივის მე-10 მუხლის შესაბამისად, სიგარეტზე აქციზურმა გადასახადმა საქართველოში უნდა შეადგინოს საშუალო შენონილი საცალო ფასის არანაკლებ 60 პროცენტისა, მაგრამ არანაკლებ 90 ევროსი ათას ლერ სიგარეტზე.

აღნიშნული პირობის შესასრულებლად (დირექტივით განსაზღვრულ ფასთან მიახლოების მიზნით) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გააჩნია შესაბამისი გათვლები, თუ რა პერიოდულობით და რა ოდენობით უნდა გაიზარდოს აქციზი, რომ მიღწეულ იქნას საბიუჯეტო სტაბილურობა, რათა აღნიშნულმა არ გამოიწვიოს სფეროში მოღვაწე ბიზნესების საქმიანობის შეფერხება და აცილებულ იქნეს უკანონო ვაჭრობის მოცულობის ზრდის შესაძლო საფრთხე (1 კოლოფ სიგარეტზე აქციზის ოდენობა უნდა იყოს მინიმუმ $90/50=1,8$ ევროს ($1,8 \times 2.7=4.86$ ლარის) ოდენობით). დღეის მდგომარეობით, საშუალოდ აქციზის განაკვეთი 1 კოლოფ სიგარეტზე შეადგენს 1.35 ლარს. საქართველოში თამბაქოს მოხმარება სამოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვადასხვა გამოკვლევების მონაცემებით, დღეისათვის თამბაქოს ნაწარმის მოხმარებელია ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40%.

აქციზის ზრდა თამბაქოს ნაწარმზე მისი მოხმარების შესამცირებლად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა. საქართველოში ბოლო წლებში რამდენჯერმე მოხდა აქციზის გაზრდა სიგარეტზე, რამაც გამოიწვია მოხმარების შემცირება 5%-მდე. აქციზის ახალი განაკვეთების ამოქმედებით მოხმარების შემცირება დამატებით 8-10%-მდე მოხდება.

- **გაიზრდება აქციზის განაკვეთი ავტომობილებზე, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირებასთან ერთად 2017 წელს მოგვცემს დამატებით 45,0 მლნ ლარის შემოსავალს.** ავტომობილების წმინდა იმპორტი (იმპორტსა და რეექსპორტს შორის სხვაობა) საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გაორმაგდა. 2015 წელს ავტომობილების წმინდა იმპორტი (რეექსპორტის გამოკლებით) წინა წელთან შედარებით გაიზარდა 21.4 %-ით და შეადგინა 288 მლნ აშშ დოლარი. ზრდის დინამიკაა 2016 წელსაც. 2016 წელს ავტომობილების წმინდა იმპორტი გადააჭარბებს 300 მლნ აშშ დოლარს. შემუშავებულია ავტომობილზე აქციზის განაკვეთები, თანაბარი საგადასახადო ტვირთისა და ასევე გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ძველი და გარემოსათვის მავნე ავტომობილებისათვის უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ავტომობილის იმპორტზე საგადასახადო წნეხი არის მნიშვნელოვნად დაბალი, კერძოდ:

- ✓ უკრაინის შემთხვევაში საშუალო საგადასახადო წნეხი შეადგენს ავტომობილის საბაჟო ღირებულების 50-დან 90 პროცენტამდე;
- ✓ აზერბაიჯანის შემთხვევაში საშუალო საგადასახადო წნეხი შეადგენს ავტომობილის საბაჟო ღირებულების 20-დან 50 პროცენტამდე;
- ✓ ევრაზიის კავშირის ქვეყნები ავტომობილის იმპორტს ბევრადვე ერთიანი განაკვეთით საბაჟო ღირებულების 54%-ით, მაგრამ არანაკლებ 2.5 ევროთი სმ³-ზე.

საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების ძირითად ნაწილზე გადასახადების ოდენობა შეადგენს ავტომობილის ღირებულების 8-10 პროცენტს, რაც, მიუხედავად განაკვეთების ზრდისა, რამდენჯერმე ჩამორჩება ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებში არსებულ განაკვეთებს.

- **გაიზრდება აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირებასთან ერთად დამატებით 250,0 მლნ ლარზე მეტ შემოსავალს მოიტანს 2017 წლის ბიუჯეტში.** იმ პირობებში, როდესაც ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს ალტერნატიული ენერგიის წყაროების მოძიებას და სატრანსპორტო ქსელის ნავთობზე დამოკიდებულების შემცირებას, საქართველოში წლიდან წლამდე, შემცირების ნაცვლად, ავტომობილების რაოდენობა და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტის მოცულობა იზრდება. 2015 წელს საქართველოში დაახლოებით 660 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი

განხორციელდა. საწვავის იმპორტი საქართველოში მუდმივად იზრდება. 2016 წლის ათ თვეში იმპორტი რეალურ გამოხატულებაში (ტონებში) 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35 პროცენტით გაიზარდა. ეს ნიშნავს 35 პროცენტით გაზრდილ გამონახოლქვს, 35 პროცენტით გაზრდილ საცობებს და ა.შ. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ართულებს დიდ ქალაქებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, ამძიმებს მოქალაქეების, განსაკუთრებით ბავშვების, ჯანმრთელობის მდგომარეობას. თანამედროვე მსოფლიო, ავტომობილებზე სხვადასხვა ტიპის გადასახადების შემოღებასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციასთან ერთად, ცდილობს ბენზინის ძრავიანი ავტომობილების ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლებას. ამ მხრივ საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა – ჯერ განახევრდა, ახლა კი 60%-ით მცირდება აქციზის გადასახადი ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტზე, ელექტრომანქანების იმპორტი კი საერთოდ არ იბეგრება. საქართველოში ბენზინის ფასი მნიშვნელოვნად დაბალაია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებსა და თუნდაც მეზობელ თურქეთში, ამიტომ ხშირად საშუალო შემოსავალის მქონე მოქალაქეებიც არ ერიდებიან დიდი კუბატურის ძრავის მქონე მეორადი ავტომობილების შეძენას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით ასახავს ჰპოვებს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც. საწვავზე აქციზის გადასახადის გაზრდით შემცირდება ქვეყანაში ბენზინის მოხმარება, რაც სტიმული იქნება ავტოპარკის მცირე მოცულობის ძრავიანი, ჰიბრიდული და ელექტრო მანქანებით განახლებისთვის, საბოლოო ჯამში კი ეს ღონისძიება დადებით ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

- **ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის,** გათვალისწინებულია 65 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრები მოხმარდება იმ ფიზიკური პირების სესხების ლარში კონვერტირების სუბსიდირებას, რომელთაც უცხოურ ვალუტაში აიღეს სესხი 2015 წლის 1 იანვრამდე, არაუმეტეს 100.0 ათასი ლარისა. აღნიშნული პროგრამა, სავარაუდოდ, შეეხება 33 .0 ათასამდე ფიზიკურ პირს.

მხარტავი დანესებულებების დაფინანსება 2015-2017 წლებში

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	
				სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
00 00	სულ ჯამი	9,703,127.1	10,297,950.0	11,415,475.0	10,338,300.0
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	50,176.5	58,031.7	60,131.0	60,131.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	11,259.3	9,800.0	9,800.0	9,800.0
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,681.6	2,000.0	1,800.0	1,800.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	23,537.1	18,000.0	16,500.0	16,500.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	12,974.2	14,517.2	14,517.2	14,517.2
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	23,359.9	58,527.5	60,500.0	60,500.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,356.8	3,400.0	4,110.0	4,110.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,596.7	7,650.0	7,700.0	7,700.0
09 00	საერთო სასამართლოები	50,219.0	52,000.0	69,000.0	69,000.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,578.1	2,700.0	2,700.0	2,700.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	853.1	900.0	800.0	800.0

				2017 წლის გეგმა	
კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	676.2	700.0	610.0	610.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	799.1	800.0	735.0	735.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	668.8	800.0	725.0	725.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	637.6	650.0	592.0	592.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	609.2	650.0	585.0	585.0

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	
				სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	506.5	650.0	595.0	595.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	896.5	1,000.0	860.0	860.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	631.9	700.0	625.0	625.0
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,604.2	3,100.0	2,845.0	2,845.0
21 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,680.7	1,350.0	1,215.0	1,215.0
22 00	საქართველოს დამფუძნებლის სამსახური	12,399.8	15,000.0	13,500.0	13,500.0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	112,711.0	86,550.0	82,300.0	82,300.0

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	
				სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	123,788.2	95,400.0	370,467.0	365,467.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	898,398.0	950,000.0	1,258,047.0	606,567.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	95,101.2	70,528.4	62,015.0	59,630.0
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	147,250.5	144,800.0	139,100.0	139,100.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	89,498.6	110,000.0	110,000.0	110,000.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	679,707.0	750,400.0	748,000.0	670,000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	593,666.3	595,000.0	585,000.0	585,000.0
31 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	37,374.8	100,000.0	118,000.0	118,000.0
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	825,893.5	954,690.0	1,116,165.0	1,031,165.0
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	108,493.9	97,000.0	99,615.0	99,615.0
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	73,586.4	85,000.0	84,790.0	84,790.0
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,906,168.8	3,202,000.0	3,415,800.0	3,415,800.0

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	
				სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	149,741.3	204,500.0	132,300.0	40,700.0
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	314,332.1	311,100.0	257,995.0	224,885.0
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	37,607.9	42,100.0	35,700.0	31,600.0
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	102,150.4	90,000.0	136,820.0	136,820.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55,907.7	55,000.0	55,000.0	55,000.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	5,300.1	4,500.0	4,800.0	4,800.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მუწყებელი	41,086.1	44,100.0	46,405.0	46,405.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,218.8	2,000.0	1,900.0	1,900.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,729.0	3,500.0	2,460.0	2,460.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,597.3	25,000.0	25,000.0	25,000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,500.0	3,500.0	2,500.0	2,500.0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	9,000.1	7,800.0	7,575.0	7,575.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,273.5	1,300.0	1,180.0	1,180.0

				2017 წლის გეგმა	
კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	1,764.6	2,300.0	1,750.0	1,750.0
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,061.2	1,400.0	1,250.0	1,250.0
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,154.0	2,100.0	1,900.0	1,900.0
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,912.7	1,300.0	1,000.0	1,000.0
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,387.0	5,800.0	5,800.0	5,800.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,103.3	6,850.0	6,400.0	6,400.0
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	4,196.6	5,600.0	5,330.0	5,330.0
56 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	1,084.7	2,150.0	2,150.0	2,150.0
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	243.6	260.0	260.0	260.0
58 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,908.9	3,850.0	3,850.0	3,850.0
59 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	6,850.8	5,200.0	3,600.0	3,600.0
60 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,013,975.3	1,970,945.2	2,212,805.8	2,086,305.8
61 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,699.1	1,200.0	0.0	0.0
62 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.0	300.0	0.0	0.0

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები შეადგენს 675 080.0 ათასი ლარს.

ათასი ლარი

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8,500.0		0.0	8,500.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	332,638.1	332,182.2	455.9	
აჭარის მუნიციპალიტეტი	1,099.6	1,074.6	25.0	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	37,342.3	37,342.3	0.0	
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	4,894.3	4,894.3	0.0	
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5,236.5	5,236.5	0.0	
ქედის მუნიციპალიტეტი	4,142.6	4,142.6	0.0	
შუახევის მუნიციპალიტეტი	1,627.2	1,627.2	0.0	
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,506.0	3,506.0	0.0	
ახმეტის მუნიციპალიტეტი	4,677.6	4,547.6	130.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,516.0	5,356.0	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	814.5	629.5	185.0	
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	6,982.1	6,820.1	162.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	2,270.6	2,140.6	130.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	5,530.6	5,310.6	220.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	4,098.6	3,888.6	210.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2,437.1	2,292.1	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	2,546.2	2,411.2	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	19,798.0	19,578.0	220.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	5,457.3	5,225.3	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,677.8	2,527.8	150.0	
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,822.4	5,652.4	170.0	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,447.7	3,319.7	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	5,365.9	5,220.9	145.0	
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	5,463.6	5,223.6	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	5,318.7	5,158.7	160.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	4,695.1	4,506.1	189.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6,471.5	6,281.5	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,972.1	3,834.1	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	5,605.9	5,445.9	160.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	260.0		260.0	
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	10,532.2	10,405.2	127.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	8,632.7	8,402.7	230.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	4,470.7	4,323.7	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,051.7	4,896.7	155.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	3,847.8	3,722.8	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	4,195.8	4,000.8	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,420.9	4,248.9	172.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	3,709.7	3,531.7	178.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
ხობის მუნიციპალიტეტი	210.0	0.0	210.0	
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	9,695.8	9,485.8	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	11,323.0	11,223.0	100.0	
ქუთის მუნიციპალიტეტი	2,122.6	2,032.6	90.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,968.1	1,923.1	45.0	
კასპის მუნიციპალიტეტი	2,805.3	2,629.5	175.8	
ქარელის მუნიციპალიტეტი	5,481.2	5,268.2	213.0	
თილვის მუნიციპალიტეტი	1,410.9	1,385.9	25.0	
ხაშურის მუნიციპალიტეტი	5,443.1	5,214.1	229.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	11,193.8	10,693.8	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0		305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	260.0	0.0	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	2,869.0	2,739.0	130.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	3,531.6	3,314.6	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	5,503.7	5,253.7	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	1,319.4	1,210.4	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	5,574.2	5,354.2	220.0	
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	4,456.4	4,370.4	86.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	5,104.6	4,930.6	174.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,650.4	2,467.4	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	2,807.5	2,670.5	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	126.0	0.0	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	746.9	531.9	215.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,698.0	4,531.0	167.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	110.0	0.0	110.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	0.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	1,897.3	1,732.3	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,413.3	2,323.3	90.0	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,263.1	3,153.1	110.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,020.0	2,884.0	136.0	
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	2,650.0	2,555.0	95.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	280.0	0.0	280.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	85.0	0.0	85.0	
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	4,084.1	3,994.1	90.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,687.4	2,632.4	55.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2,686.5	2,581.5	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	2,795.1	2,692.1	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,234.3	4,076.3	158.0	
სულ	675,080.0	654,762.3	11,817.7	8,500.0


შენიშვნა: დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯან-მრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამ-შობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა აღირიცხება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და შემდეგნაირად გამოიყურება:

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
7	მთლიანი ხარჯები	8,838.2	9,385.0	10,120.2
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,011.3	1,903.3	1,995.9
7.2	თავდაცვა	654.2	726.9	677.9
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	961.0	1,012.5	1,028.4
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	949.2	1,074.5	1,349.2
7.5	გარემოს დაცვა	44.8	47.4	44.6
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	48.4	61.9	36.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	855.1	902.5	999.5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	206.8	197.3	235.3
7.9	განათლება	899.7	1,033.3	1,187.9
7.10	სოციალური დაცვა	2,207.7	2,425.4	2,564.6





www.mof.ge